საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით, რელიგიური გაერთიანებების შესახებ, საჯარო დისკუსია გაიმართა

2012 წლის 28 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით, საჯარო დისკუსია

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

გაიმართა. განხილვის თემა საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული პრობლემები იყო.

დისკუსიის პროცესში განიხილებოდა საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობების დევნისა და შევიწროვების ფაქტები, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და ასევე სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი მისი მოგვარების პროცესში.

ღონისძიებაში ექსპერტის სტატუსით მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათაშორისი საბჭოს ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, თეოლოგიის დოქტორი ვაჟა ვარდიძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სტრატეგიული სამართალწარმოების ცენტრის წარმომადგენელი გიორგი გოცირიძე.

დისკუსიის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო სექტორის და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებმა.